



საქართველოს
საპატრიარქოს
პრესცენტრის
ყოველკვირეული
გამოცემა

5-11 ოქტომბერი 2017 წ. გამოცემა 1999 წლის 8 იანვრიდან
ფასი 70 თეთრი



საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ახალი საქართველოს უნივერსიტეტში —
„ფილოსოფია და ქრისტიანობა: ჰეგელის რელიგიის ფილოსოფია“

- ✠ პატრიარქის ქადაგებები
- ✠ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვა სამადლოზელ პარაკლისზე
- ✠ ჩვენი ცხოვრება სდება სიცოცხლე, როდესაც მასში ღმერთი მყოფობს!
- ✠ სიბრძნისმეტყველების ზეიმი ფოთში
- ✠ „უფალო, მაცხოვრე მე სიტყვისაებრ შენისა“ — წმინდა მოწამე კალისტრატე
- ✠ წმიდა არსენი დიდი, კათოლიკოსი
- ✠ წმიდა პირველმოდამე, მოციქულთასწორი თეკლა
- ✠ ქეთევან წამებული - სულის ბაღოვანი
- ✠ რას წერს ქართული პრესა
- ✠ უცხოეთის ქრონიკა
- ✠ დეკანოზი ეფრემ ინასარიძე

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ახალი საქართველოს უნივერსიტეტში —
„ფილოსოფია და ქრისტიანობა: ჰეგელის რელიგიის ფილოსოფია“



სიბრძნისმეტყველების ზეიმი ფოთში

„დიდ ფილოსოფოსთა აზროვნების გაცნობა და მათი შრომების სწორი შეფასება მეტად მნიშვნელოვანი და, მე ვიტყვოდი, ყოვლად აუცილებელი საქმეა.“

ილია II

2017 წლის 22- 23 სექტემბერს ფოთში ახალი საქართველოს უნივერსიტეტმა უმასპინძლა კიდევ ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას „ფილოსოფია და ქრისტიანობა: ჰეგელის რელიგიის ფილოსოფია“, სადაც ქართველ ფილოსოფოსებთან ერთად ევროპის ქვეყნების წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორების მოხსენებები იყო წარმოდგენილი. ყოველ მოხსენებას ახლდა უჩვეულო დისკუსია და დამსწრეთ საშუალება ჰქონდათ აუჩქარებლად მიჰყოლოდნენ აზრის მდინარების მძლავრ ნაკადებს, დამტკბარიყვნენ ფიქრის შესაძლებლობით მიწვდეს და ცხადყოს ადამიანში რწმენისა და მეცნიერული აზრის ფაქიზი გრადაციები... დიახ, ეს ნამდვილად იყო სიბრძნისმეტყველების ზეიმი ქრისტიანობის შუქზე.

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (1770-1831 წწ.) ყველა ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფოსია. მას ეკუთვნის ფუნდამენტური გამოკვლევები მეტაფიზიკის, ფილოსოფიის ისტორიის, სამართლის ფილოსოფიის, რელიგიის ფილოსოფიისა და სხვა სფეროებში. ჰეგელის ნაშრომები, პლატონის, არისტოტელესა და კანტის შრომებთან ერთად, მსოფლიო ფილოსოფიური მემკვიდრეობის საგანძურს ქმნის.

ახალი საქართველოს უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ჰეგელის შემოქმედების საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტები:

პროფ. პელმუტ შნაიდერი (კასელის უნივერ-

სიტეტი, გერმანია / ახალი საქართველოს უნივერსიტეტი) წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჰეგელის არქივს ბოხუმის რურის უნივერსიტეტში (გერმანია). პროფ. შნაიდერმა ჰეგელის მემკვიდრეობის შესწავლის კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა: მან აღმოაჩინა და რედაქტირება გაუკეთა ჰეგელის რამდენიმე მნიშვნელოვან ხელნაწერს, რითაც არსებითად შეუწყო ხელი ჰეგელის შემდგომ კვლევებს.

პროფ. ჯაკომო რინალდი (ურბინოს უნივერსიტეტი, იტალია) იტალიაში ჰეგელის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მკვლევარია. მან ჰეგელის შემოქმედებას რამდენიმე ათეული გამოკვლევა მიუძღვნა. პროფ. რინალდის კვლევებს იცნობენ არა მხოლოდ ევროპის კონტინენტზეც, არამედ ამერიკაშიც. იგი არის ჰეგელის მკვლევართა საზოგადოების წევრი და აქტიურად მონაწილეობს ჰეგელის შემოქმედებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ფორუმებში.

პროფ. ნორბერტ ვასცეკი (უნივერსიტეტი პარიზი VIII, საფრანგეთი) საფრანგეთის ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების — სორბონის უნივერსიტეტის — მემკვიდრის, უნივერსიტეტი პარიზი VIII-ს აკადემიურ პერსონალს განეკუთვნება. თავისი სადოქტორო დისერტაცია მან კემბრიჯის უნივერსიტეტში დაცვა, ხოლო ჰაბილიტაცია კი სორბონში შეასრუ-



კონფერენციის მომხსენებლები და სტუდენტები

ლა. პროფ. ვასციკის კვლევები, ძირითადად, ჰეგელის შემოქმედების რეცეფციასა და მის მიმდევრებს ეხება. ამ მხრივ მან მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევები შექმნა.

პროფ. ტომ კლემანი (კასელის უნივერსიტეტი, გერმანია) აქტიურად იკვლევს თეოლოგიისა და ფილოსოფიის, ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმართების საკითხებს. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ფუნდამენტური გამოკვლევა ქრისტიანული თეოლოგიის მიმართულებით.

პროფ. ჟილ მარმასი (ჰუატიეს უნივერსიტეტი, საფრანგეთი) საფრანგეთში ჰეგელის აღიარებულ მკვლევართა რიცხვს განეკუთვნება. მას ეკუთვნის რამდენიმე მნიშვნელოვანი მონოგრაფია ჰეგელის შემოქმედების შესახებ. იგი მონაწილეობდა ნატურფილოსოფიის შესახებ ჰეგელის ლექციების აკადემიურ-კრიტიკული გამოცემის მომზადებაში.

პროფ. გიუნტერ კრუკი (მაინცის იოჰანეს გუტენბერგის უნივერსიტეტი, გერმანია) ქრისტიანული თეოლოგიის საკითხებს იკვლევს. მას ეკუთვნის მნიშვნელოვანი კვლევები ჭეშმარიტების პრობლემისა და ჰეგელის რელიგიის ფილოსოფიის შესახებ.

კონფერენცია გახსნა ახალი საქართველოს უნივერსიტეტის რექტორმა, ფილოსოფიის დოქტორმა, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა. მან უნივერსიტეტში შეკრებილი მსმენელის ყურადღება ქრისტიანული კვლევების აქტუალობაზე შეაჩერა.

დამსწრე საზოგადოებას საჩხერისა და ჭიათურის მიტროპოლიტმა დანიელმა გააცნო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს მისასალმებელი სიტყვა:

„მოხარულნი ვართ, რომ ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის, მეუფე გრიგოლის ინიციატივით „ახალი საქართველოს უნივერსიტეტში“ ტარდება საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ჰეგელის



მიტროპოლიტი გრიგოლი და პროფ. თანგიზ ირემაძე

რელიგიის ფილოსოფიას ეძღვნება.

ჩემი დიდი სურვილი ყოველთვის იყო მოზარდებისა და, საერთოდ, ახალგაზრდებისათვის ღრმა აზროვნების სწავლება, რათა მათ თეთრის და შავის, ავის და კარგის გარჩევის უნარი ჰქონოდათ.

ზოგიერთს ჰგონია, რომ ეს ადვილი რამ არის; არადა იგი არასდროს ყოფილა იოლი, მიუთმეტეს დღეს, როდესაც ბოროტება იმდენად მრავალფეროვანი და მრავალფეროვანი საბურველით ისე არის დაფარული, როგორც არასდროს და გონიერ ადამიანსაც უჭირს მისი ნამდვილი სახის დანახვა. ამიტომაც დიდ ფილოსოფოსთა აზროვნების გაცნობა და მათი შრომების სწორი შეფასება

მეტად მნიშვნელოვანი და, მე ვიტყვოდი, ყოვლად აუცილებელი საქმეა.

ფრიად საინტერესო იქნება, თუ ამ კონფერენციაზეც შესაძლებლობისამებრ მოხდება შედარება და ანალიზი ჰეგელისეული აზროვნებისა და მართლმადიდებლური ხედვისა, რაც ვფიქრობთ, მრავალთა დაინტერესებას და ჯანსაღ დისკუსიას შეუწყობს ხელს.

პატივისცემით მივსალამებთ კონფერენციის ორგანიზატორებს, დამსწრეთ და მომხსენებელთ, განსაკუთრებით უცხოეთიდან ჩამოსულ მეცნიერებს; ვიმედოვნებთ, ეს შეხვედრა იქნება მრავლის მომცემი როგორც ჩვენთვის, ისე მათთვის.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

22.09.2017.

ნაკითხულ იქნა, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის მისასალმებელი სიტყვა კონფერენციის მონაწილეებისადმი, სადაც მან აღნიშნა:

„მადლობას ვუხდით ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის თანამშრომლებს მისი ორგანიზებისთვის. ესოდენ წარმომადგენლობით ფორუმებს დიდი წვლილი შეაქვს განათლების გავრცელებასა და ახალი ცოდნის

შექმნაში. სამყაროს უზოგადესი პრინციპების შემცნება არა მხოლოდ ფილოსოფოსთა და მეცნიერთა ამოცანაა, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში სწორად ორიენტირებისთვის ესაჭიროება თითოეულ ადამიანს. სწორედ ამიტომ, განათლება მესახება უმთავრეს პრიორიტეტად საქართველოს განვითარების, ჩვენი ხალხის ისტორიული მიზნებისკენ სვლის პროცესშიც. სწორედ ამიტომ გავივაცხადე 2017 წელი განათლების წლად. ამდენად, ჩვენთვის დიდი პატივია თქვენი მასპინძლობა და თქვენი თანადგომა...

დარწმუნებული ვარ, თქვენი მუშაობა ნაყოფიერი დისკუსიებისა და იდეათა მრავალფეროვნების ატმოსფეროში წარიმართება. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყანა შესანიშნავი ადგილია საამისოდ. საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა ფილოსოფიისა და რელიგიის საკითხთა კვლევის, ახალი ცოდნის წარმოებისა და გავრცელების ტრადიცია. თითქმის ათასწლეულის წინ გელათისა და იყალთოს აკადემიები მაშინდელი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს კვლევით – სასწავლო ცენტრებს წარმოადგენდნენ. ხოლო უფრო ადრე, ჯერ კიდევ ანტიკურ ფაზისში, სადღაც ძალზე ახლოს ჩვენი დღევანდელი შეხვედრის ადგილთან, სახელგანთქმული რიტორიკული სკოლა მოქმედებდა. სწორედ ამ ხანგრძლივი ტრადიციის კონტექსტში განვიხილავ თქვენ შეხვედრას და, საზოგადოდ, ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ძალისხმევასაც.

წარმატებულ, საინტერესო და ნაყოფიერ მუშაობას ვუსურვებ კონფერენციას და მის თითოეულ მონაწილეს.“

შესავალი სიტყვა წარმოთქვა ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორმა, პროფ. თენგიზ ირემაძემ, რომელმაც XX საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში ქრისტიანული ფილოსოფიის მძიმე ხვედზე ისაუბრა და ამ კუთხით ახალი საქართველოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი სამუშაოს მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

კონფერენციაზე შემდეგი მოხსენებები იქნა წარმოდგენილი:

პროფ. ჰელმუტ შნაიდერი — „ჰეგელის პირველი ლექცია რელიგიის ფილოსოფიის შესახებ ბერლინში, 1821 წლის ზაფხულში“

პროფ. ჯაკომო რინალდი — „ჰეგელის რელიგიის ფილოსოფიის მნიშვნელობა თანამედროვეობაში“

პროფ. ტომ კლემმანი — „ჰეგელის რელიგი-



პროფესორები ჯაკომო რინალდი, მიხეილ გოგატიშვილი და მღვდელი ლაზარე ქაჯაია

ის ფილოსოფია, როგორც რელიგიათა ქრისტიანული თეოლოგია“

ასოც. პროფ. გიორგი ხუროშვილი — „ბრუნო ბაუერისა და დავიდ ფრიდრიხ შტრაუსის დავა ჰეგელის რელიგიის კონცეფციის ინტერპრეტაციის შესახებ“

პროფ. ნორბერტ ვასცეკი — „ჰეგელის რელიგიის ფილოსოფიის გამორჩეული ინტერპრეტაცია ემილ ფაკენჰაიმის მიერ“

პროფ. ჟილ მარმასი — „ჰეგელი და წარმართული რელიგიები: სად არის ქვეშარიტება, სად არის საზღვარი?“

პროფ. გიუნტერ კრუკი — „ჰეგელის რელიგიის ფილოსოფია. ჰეგელი რელიგიის ქვეშარიტების თაობაზე თავის ადრეულ და გვიანდელ კონცეპტებში რელიგიის შესახებ“

პროფ. გიორგი ბარამიძე — „ღმერთი რელიგიურ ცნობიერებაში“

პროფ. მიხეილ გოგატიშვილი — „სახელმწიფოს კონსტრუირების რელიგიური პრინციპი ჰეგელის რელიგიის ფილოსოფიაში“

პროფ. ლალი ზაქარაძე — „ჰეგელის რელიგიის ფილოსოფია და რუსული სახელმწიფოს მონწყობის იდეა“

ყოველ მოხსენებას თან ახლდა საინტერესო დისკუსია. განსაკუთრებული აქტიურობით ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ქრისტიანული ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები, რომლებმაც ბევრი სიღრმისეული შეკითხვა დასვეს ჰეგელის რელიგიის ფილოსოფიის, მართლმადიდებლობის და ჰეგელის რელიგიის ფილოსოფიის ურთიერთმიმართების, ასევე, ჰეგელის ფილოსოფიის რეცეფციის შესახებ. კონფერენციას, ასევე, ესწრებოდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც

კარგად ჩაერთნენ დისკუსიებსა და დებატებში. მნიშვნელოვანი შეკითხვები დასვეს, ასევე, სასულიერო პირებმა, რომლებიც დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს კონფერენციის მსვლელობას.

კონფერენცია შეაჯამეს ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა და კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორმა, პროფ.

თენგიზ ირემაძემ. მათ ხაზი გაუსვეს ჩატარებული კონფერენციის მნიშვნელობას თანამედროვე ქართული ფილოსოფიის კონტექსტში და ასევე ჰეგელის ფილოსოფიის საკაცობრიო კუთვნილებას და იმ როლს, რომელსაც ამ გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის შემოქმედება დღესაც ასრულებს ცოდნისა და რწმენის ჰარმონიული სინთეზის პროცესში.